ოქმი:**ო63.6321364001**
თარიღი:**30/12/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 58

ქ. სამტრედია. 1 დეკემბერი, 2021 წელი.

2021 წლის 1 დეკემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის,

ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, შალვა არზუმანიანი, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, დავით ამაღლობელი, ხვიჩა ფანცულაია.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. ინფორმაცია, მე-5 მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომის მოწვევის შესახებ.

/მომხსენებელი: ნ.ჯამბურია/

2. სხვადასხვა.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის N54 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ნანა იმნაძის, 2021 წლის 29 დეკემბრის N 54/138 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, ,,2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნების შედეგად არჩეული მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი ორგანოების- საკრებულოების პირველი

სხდომების მოწვევის შესახებ’’, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის, 2021 წლის 25 ნოემბრის N 372/2021 განკარგულებას.

ბიუროს სხდომის ჩატარების მიზეზი არის საინფორმაციო ხასიათის, ჩვენთან შემოსული ნებისმიერი დოკუმენტი საჭიროებს რეაგირებას. კერძოდ, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციიდან, ბატონმა გიორგი კალადარიშვილმა, არა მარტო ჩვენ, არამედ საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში, გაწეული მუშაობისათვის საკრებულოებს მადლობა გამოუცხადა. ეხლა მე მინდა გაგაცნოთ ქალბატონ ნანა იმნაძის მომართვა, რომლითაც გვაცნობა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განკარგულება N 372/2021. აღნიშნული განკარგულებით განსაზღვრულია, რომ მუნიციპალიტეტებში ახლად არჩეული საკრებულოს პირველი სხდომები გაიმართება 2021 წლის 3 დეკემბერს, 12^{00} საათზე.

მინდა მადლობა გადაგიხადოთ თანადგომისათვის, ერთობლივი შრომისათვის, ყოველთვის ვიყავით მოტივირებული და მუდმივად მზადყოფნაში გვეკეთებინა ქვეყნისათვის და ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის სასიკეთო საქმეები. იყო აზრთა ჭიდილი, კამათი, მაგრამ ყოველთვის იყო გუნდური დამოკიდებულება საერთო საქმისადმი.

ბიუროს წევრებმა ცნობად მიიღეს საკრებულოს თავმჯდომარის ინფორმაცია, მე-5 მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომის მოწვევის თარიღისა და დროის შესახებ.

საკრებულოს სხდომა გაიმართება 2021 წლის 3 დეკემბერს, 12^{00} საათზე.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი